პაკისტანში მუსლიმურმა რადიკალურმა დაჯგუფებამ ტაძარი და ქრისტიანების სახლები ავტომატებით დაცხრილა

პაკისტანში მუსლიმურმა რადიკალურმა დაჯგუფებამ ავტომატებით დაცხრილა ქრისტიანული ტაძარი და მის მიმდებარედ განთავსებული მრევლის ნევრების სახლები, რის შედეგადაც დაიჭრა არანაკლებ ოთხი ქრისტიანისა.

მათ შორის დაშავდა ფეხმძიმე ქალბატონიც. თავდასხმა მოხდა ლახორში, შერაკოტის რაიონის შამსაბადის უბანში. ერთ-ერთმა დაჭრილმა ასიფ მასიჰმა გაიხსენა სამსახურიდან შინ დაბრუნებისას ქუჩაში განწირული ყვირილისა და ავტომატების სროლის ხმის გაგონება. ,,დავინყე ბავშვების მოხმობა ქუჩიდან სახლში, რა დროსაც შევნიშნე კბილებამდე შეიარაღებული ხალხი, რომლებიც ჩვენს ქუჩაზე მდებარე ეკლესიას ესროდნენ ტყვიებს," – იხსენებს მასიჰი Morning Star News-სთან ინტერვიუში. –შემდეგ მათ ცეცხლი გაუხსნეს ქრისტიანთა მეზობელ სახლს". მისი თქმით, ზოგიერთმა ტერორისტმა ის შეამჩნია და ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც ორივე თეძოს არეში დაიჭრა. ,,გაჭირვებით მოვახერხე სახლამდე მიღწევა და კარის ჩაკეტვა, ისინი კი განაგრძობდნენ სროლას," – ამოწმებს მასიჰი. ,,მესმოდა

მათი მუქარა და წყევლა ქრისტიანთა მისამართით, ისინი იფიცებდნენ ამ რაიონში ყველას ამოწყვეტას და ჩვენი ტაძრის გადაწვას“.

მისი სიტყვებით, თვითმხილველებმა თავდამსხმელთა იდენტიფიცირება მოახდინეს, ესენი გახლავთ მუსლიმები დილშად დოგარი, ბატ გას ვალა და ჩანდ ხენჩა. მათ ესროლეს AK-47-ისა და სხვა იარაღის საშუალებით ასობით ტყვია სახლებს, სადაც 300-ზე მეტი ქრისტიანული ოჯახი ცხოვრობს. მისი თქმით, ტყვიებმა მრავალი სახლის კარი დააზიანა და სამი ქალბატონი დაჭრა – ნირმა ბიბი, მარია კაშიფი და სამინა, ასევე სხვა ქრისტიანებიც. ,,დაჭრილთაგან ერთ-ერთი ექვსი თვის ფეხმძიმეა“, – მწუხარებით აღნიშნავს მასიჰი. – ,,ამ უკანასკნელს ფეხში მოხვდა ტყვია, რომელიც კარს ესროლეს, თუმცა ახლობლებმა მოახერხეს მისი უსაფრთხო კუთხეში გადაყვანა“.

ბევრმა ქრისტიანმა სატელეფონო ზარით პოლიციის სასწრაფო დახმარების ტელეფონზე დარეკვა დაიწყო 14.30 საათზე, როდესაც ისმოდა სროლა, მაგრამ პოლიცია მხოლოდ 20.00 საათზე მოვიდა, რამდენადაც ეჭვმიტანილები გავლენიანი ხალხია მათი კავშირების მიხედვით, როგორც ამას მასიჰი ამბობს. ის ერთ-ერთ მოწმედ გვევლინება ტერორისტთა წინააღმდეგ საქმეში. ,,მთელი ჩვენი ქუჩა დაცხრილულია ტყვიებით, ბევრ დაჭრილს სისხლი სდიოდა, თუმცა პოლიციამ თავის პირველ პატაკში ეს ანგარიშსწორება არ ცნო როგორც ტერორისტული აქტი,“ – აღშფოთებას ვერ მალავს მასიჰი. – უფრო მეტიც, საკუთარ განცხადებაში მე ვახსენე, რომ დამნაშავეები ხშირად იმუქრებოდნენ ეკლესიის გადაწვითა და ჩვენი დახოცვით, მაგრამ პოლიციამ ჩემი ჩვენებით არ შეადგინა პატაკი“.

პოლიციამ მხოლოდ მომდევნო დღეს შეადგინა პატაკი, რომლითაც ამტკიცებს, რომ სროლა გახლდათ უთანხმოების შედეგი ქრისტიანებს – ასტაგორ მასიჰსა და დოგარს შორის. ასიფ მასიჰი უარყოფს ამ ვერსიას და ირწმუნება, რომ პოლიცია იცავს კრიმინალისტებს. ,,ჰკითხეთ მათ, თუ რატომ გაუხსნეს ცეცხლი დოგარმა და მისმა თანამზრახველებმა ქრისტიანთა სახლებს და დაჭრეს ჩვენნაირი უდანაშაულო ხალხი, ნუთუ იმის გამო, რომ დოგარს პირადი დავა აქვს კონკრეტულ პიროვნებასთან?“ - კითხულობს თვითმხილველი. – სინამდვილეში პოლიცია იცავს კრიმინალისტებს, რამდენადაც ისინი მუსლიმები არიან, – ჩვენ კი – საცოდავი ქრისტიანები“.

პაკისტანის ქრისტიან იურისტთა ასოციაციის ლიდერი, ადვოკატი ჯაველ გილი აცხადებს, რომ ინფორმაცია სროლის მიზეზების შესახებ კვლავ წინააღმდეგობრივია. ,,რამდენიმე მოწმემ განაცხადა, რომ ბრალდებულები გამოდიოდნენ ეკლესიის წინააღმდეგ ამ რაიონში და აიძულებდნენ საზოგადოებას ტაძარში მსახურების შეწყვეტას, სხვები კი ირწმუნებიან, რომ სროლა გამოწვეულ იქნა გოგონას გამო კამათის მიზეზით,“ – აღნიშნავს გილი ინტერვიუში. – დავუშვათ, რომ სროლის საბაბი ორ ადამიანს შორის ქიშპი იყო, მაშინ როგორ შეიძლება მთელს ქრისტიანულ კვარტალზე ავტომატებით თავდასხმის გამართლება? არალეგალური იარაღებიდან გასროლილმა რამდენიმე ასეულმა ტყვიამ ბევრი დაჭრა, პოლიციამ კი არ იმოქმედა ტერორისტთან ბრძოლის შესახებ მეშვიდე კანონით,“ – ამბობს ადვოკატი. – პოლიციამ ასევე ვერ შეძლო აეხსნა, თუ რატომ არ გამოცხადდა თავის დროზე ადგილზე გამოძახებისთანავე“.

,,ჩვენ დავაპატიმრეთ სამი მამაკაცი, მიმდინარეობს გამოძიება და სხვა დამნაშავეების ძებნა, – Morning Star News-სთან ინტერვიუში აცხადებს შერაკოტის რაიონის ოფიცერი მუჰამედ აზიმი პატრულის

დაგვიანებით მისვლასთან დაკავშირებით კითხვაზე პასუხისათვის თავის არიდების მცდელობით. – პირველადმა გამოძიებამ აჩვენა, რომ სროლის მიზეზი იყო პირადი შეკამათება, ხოლო ზუსტ ფაქტებს შემდგომი გამოძიება დაადგენს. ქრისტიანები ჩვენი ძმებია, და ჩვენ ყოველთვის ვიცავთ მათ ყოველგვარი კრიმინალისგან, რომელიც არღვევს მშვიდობას რაიონში. ინციდენტი დააფიქსირა ხელისუფლებამ და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პასუხისგებაში მიეცეს დამნაშავეები. ეს არაა რელიგიური საკითხი, როგორც ამას ქრისტიანები მიიჩნევენ“.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა დეკემბრის თვეში ხელმეორედ ჩარიცხა პაკისტანი იმ ცხრა ქვეყანას შორის, „რომლებიც განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს როგორც აღმსარებლობის თავისუფლების სერიოზული დამრღვევი. პირველად ამ სიაში ქვეყანა მოხვდა 2018 წლის 28 ნოემბერს. პაკისტანი ამჟამად იკავებს მეხუთე ადგილს ქრისტიანთა მდევნელ 50 ქვეყანას შორის (2021 World Watch). ამ ქვეყნების სია შედგენილია Open Doors მსოფლიო ქრისტიანული უფლებადამცველი ორგანიზაციის მიერ.

*Christian Headlines/«**Седмица**»/სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88063/